საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №20

ქ.თბილისი **05.09.2014**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
ნიკოლოზ ალექსიძე - შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ აფრასიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტი - მურად გარუჩავა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ლევან მიდოდაშვილი;
ციური დურული.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
მანანა მოისწრაფიშვილი;
გიორგი აბრამიშვილი;
ჯემალ კახაძე;
ნუგზარ მიქაძე;
შუქრი სილაგაძე;
იაკობ მანჯგალაძე;
როზა ხუციშვილი;
გივი გავარდაშვილი;
ზურაბ ლობჟანიძე.

სხვა დამსწრე პირები:
მამია ჯანჯალია.

სხდომა დაიწყო 15:30 საათზე. საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რძის გადამამუშავებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მელიორატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის (წვრილცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველების და თევზების და სხვა) მესამე საფეხურის პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა და აცილება არ ყოფილა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და დაწესებულების წარმომადგენლებსმ, სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებათა თვითშეფასების ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა და საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიშები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რძის გადამამუშავებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო გიორგი ცხვედიანმა, რომელიც შედიოდა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში. მომხსენებელმა ისაუბრა დაწესებულების გამოცდილებაზე, აღნიშნული მიმართულებით საგანმანათებლო პროგრამების განხორციელებაში. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით შენიშვნა არ ჰქონიათ, თუმცა, შეიმუშავეს რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

- ინგლისური ენის სილაბუსს სასურველია დაემატოს პროფესიულ საკითხებზე სამეტყველო მარაგის გამომუშავებისათვის აუცილებელი სასწავლო მასალა, აგრეთვე, ამ სასწავლო კურსში რამდენიმე პრაქტიკული მეცადინეობა დაეთმოს პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაციის თემატიკაზე მუშაობას.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის მაჩენებლით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ახალი იყო და შესაბამისად, ასეთი მაჩვენებელი არ ჰქონდათ, თუმცა, იმედოვნებდნენ რომ შეძლებდა ეპასუხა დასაქმების ბაზრის მოთხოვნებისთის.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გამოთვქმდნენ თუ არა მზაობას, გადაეხედათ ინგლისურენოვანი სილაბუსებისთვის.

წარმომადგნელის თქმით, უკვე მიმართული ჰქონდათ წამყვანი მასწავლებლებისთვის და იმედოვნებდა, რომ რამდენიმე დღეში რეკომენდაცია გათვალისწინებული ექნებოდათ.

2.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ლევან მადათოვმა, რომელიც შედიოდა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში. მომხსენებელმა ისაუბრა დაწესებულების გამოცდილებაზე, საგანმანათებლო პროგრამების განხორციელებაში. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით შენიშვნა არ ჰქონიათ, თუმცა, შეიმუშავეს ერთი რეკომენდაცია პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

- სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის უმრავლესობა განკუთვნილია უფრო მაღალი საფეხურის როგორც პროფესიული, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის. იმისათვის, რომ III საფეხურის პროფესიულ სტუდენტს გაუადვილდეს სასწავლო კურსის ათვისება სასურველია ყველა საგანში ლექტორის მიერ შედგენილი იყოს მოკლე სალექციო კონსპექტები.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, აპირებდნენ თუ არა რეკომენდაციის გათვალისწინებას, ან ხომ არ გეგმავდნენ სახელმძღვანელოების მომაქზდებას.

დაწესებულების წარმადგენელმა აღნიშნა, რომ იზიარებდნენ ექპსერტთა ჯგუფის მოსაზრებას და უკვე მუშაობდნენ ამ მიმართულებით. დამკვიდრებული პრაქტიკით ლექტორები უზრუნველყოფდნენ სტუდენტებს კონსპექტებით, თუმცა, ამას ოფიციალურ და სისტემატიურ სახეს მისცემდნენ მომავალში. ასევე, გეგმავდნენ სახელმძღვანელოების მომზადებასაც.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ლევან მადათოვმა, რომელიც შედიოდა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში. მომხსენებელმა ისაუბრა დაწესებულების გამოცდილებაზე, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით შენიშვნა არ ჰქონიათ, თუმცა, შეიმუშავეს ერთი რეკომენდაცია პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

- სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის უმრავლესობა განკუთვნილია უფრო მაღალი საფეხურის როგორც პროფესიული, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის. იმისათვის,რომ III საფეხურის პროფესიულ სტუდენტს გაუადვილდეს სასწავლო კურსის ათვისება სასურველია ყველა საგანში ლექტორის მიერ შედგენილი იყოს მოკლე სალექციო კონსპექტები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და გამოთქვეს მზაობა მის გასათვალისწინებლად.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მელიორატორის მესამე საფეხურის პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ლევან მადათოვმა, რომელიც შედიოდა ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში. მომხსენებელმა ისაუბრა დაწესებულების გამოცდილებაზე, საგანმანათებლო პროგრამების განხორციელებაში. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით შენიშვნა არ ჰქონიათ, თუმცა, შეიმუშავეს ერთი რეკომენდაცია პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით:

- სასწავლო ლიტერატურად მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განკუთვნილია მაღალი საფეხურის (ბაკალავრიატი) სტუდენტებისათვის, ამიტომ სასურველია პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში აკადემიურმა პერსონალმა მოამზადოს ადაპტირებული სალექციო კურსები სწავლების საფეხურის შესაბამისად.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია და გამოთქვეს მზაობა მის გასათვალისწინებლად.

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის (წვრილცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველების და თევზების და სხვა) მესამე საფეხურის პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო მურად გარუჩავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ განვითარებადი იყო პროგრამა, მისი რესურსებიდან გამომდინარე, დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა, ასევე, საუკეთესო ბაზა, რაც ქმნიდა მოლოდინს, რომ კურსდამთავრებულები კარგ შედეგზე გავიდოდნენ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში პროგრამამ დადებითი შეფასება მიიღო ექსპერტებისგან, თუმცა, ჰქონდათ რეკომენდაციები, რაც სამომავლოდ სრულყოფდა პროგრამას:

- სასურველია: სასწავლო კურსის „ფარმაკოლოგია რეცეპტურით“ სილაბუსს დაემატოს რამოდენიმე სალექციო საკითხები ლათინური ენის სწავლებიდან;
- სასურველია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (პროგრამის ფარგლებში) შევსება ვეტერინარიის თანამედროვე მიღწევების ამსახველი ლიტერატურით.

საბჭო დაინტერესდა, დაწესებულება იზიარებდა თუ არა რეკომენდაციას და თუ განხორციელეს ამ მიმართულებით ცვლილებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები და შესაბამისი ცვლილებებიც განახორციელეს, სილაბუსს ლათინური ენის რამდენიმე საკითხი დაემატა და აღნიშნული სასწავლო კურსი გაერთიანებული იყო ფარმაკოლოგიასთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა დაწესებულების წიგნად ფონდს. მისი თქმით, უახლესი და აქტუალური ლიტერატურა იყო წარმოდგენილი, ჰქონდათ ელექტრონული ვერსიებიც.

6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო მურად გარუჩავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ განვითარებადი იყო პროგრამა, მისი რესურსებიდან გამომდინარე, დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა, ასევე, საუკეთესო ბაზა, რაც ქმნიდა მოლოდინს, რომ კურსდამთავრებულები კარგ შედეგზე გავიდოდნენ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთლიანობაში პროგრამამ დადებითი შეფასება მიიღო ექსპერტებისგან, თუმცა, ჰქონდათ რეკომენდაცია, რაც სამომავლოდ სრულყოფდა პროგრამას:

- სასწავლო ლიტერატურად მთითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა განკუთვნილია მაღალი საფეხურის (ბაკალავრიატი) სტუდენტებისათვის, ამიტომ სასურველია პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ სასწავლო კურსში აკადემიურმა პერსონალმა მოამზადოს ადაპტირებული სალექციო კურსები სწავლების საფეხურის შესაბამისად.

თავმჯდომარემ შენიშნა, რომ წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციები ანალოგიური იყო რეკომენდაციებისა, რაც წინა საკითხთან დაკავშირებით იქნა გაჟღერებული, ამდენად, მიმართა დამსწრეებს, მხოლოდ განსხვავებულ საკითხებზე ესაუბრათ. ასევე, მამია ჯანჯალიას სთხოვა აზრის გამოთქმა, როგორც პროფესიულ განათების მიმართულებით კომპეტენტურ პირს. მამია ჯანჯალიამ მთლიანობაში დადებითად შეაფასა პროგრამა და წარმატებები უსურვა მის განმახორციელებელ გუნდს, ასევე, მიუთითა დაწესებულებას, ტერმინების გამოყენებისას, გაეთვალისწინებინათ პროფესიული განათლების სპეციფიკა (პროფესიული ტესტირება, პროფესიული მასწავლებელი და ა.შ.). ასევე, მისი თქმით, ჩასწორებას საჭიროებდა დამატებითი გამოცდისთვის მოსამზადებლად გათვალისწინებული ვადები.

მამია ჯანჯალია დაინტერესდა პროგრამის ადამიანური რესურსით, კერძოდ, ადგილობრივ კადრებს თუ ჰქონდათ შესაბამისი კვალიფიკაცია, თუ დედაქალაქის კადრებს იწვევდნენ პროგრამის განსახორციელებლად.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარე წელს ბევრი რამ გამოსწორდა, სილაბუსების შემთხვევაშიც, 60-70% ადგილობრივი კადრები იყო წარმოდგენილი, ასევე ჰქონდათ სათანადო ლაბორატორიები და ინვენტარი და სასწავლებელი მზად იყო მუშაობის დასაწყებად.

თამარ ზარანდია დაინტერესდა, როდესაც საუბარი იყო ათდღიანი ვადის დარღვევაზე, ადგილი ხომ არ ჰქონდა ხარვეზს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ გათვალისწინებული ჰქონდათ ორი კვირა, დამატებით გამოცდაზე გასვლამდე, ამასთან საქმე ეხებოდა 30 კრედიტიან პროგრამას და ამდენად, აღნიშნული პრობლემას არ წარმოადგენდა.

15:52 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. სხდომა განახლდა 16:05 საათზე.

თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რძის გადამამუშავებლის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მელიორატორის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის (წვრილცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველების და თევზების და სხვა) მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 16:10 საათზე სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე
მაია მიქაშავიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე